

საქართველოს კანონი
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1
კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დანიშნულებას, ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, მოვალეობებსა და საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და მიმართულებებს.

მუხლი 2 საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სამართლებრივი სტატუსი და კომპეტენციის ფარგლები

1. საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (შემდეგში – სასაზღვრო პოლიცია) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სამართალდამცავი ორგანო და სპეციალური სამსახური სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით, რომლის დანიშნულებაცაა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლი და რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

2. სასაზღვრო პოლიციას აქვს გერბი და დროშა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. საქართველოს სასაზღვრო პოლიცია სასაზღვრო - პოლიციურ ღონისძიებებს ახორციელებს:

- ა) სახელმწიფო საზღვარზე;
- ბ) სასაზღვრო ზოლში (500 მეტრი სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან);
- გ) სასაზღვრო ზონაში (5 კმ, განსაკუთრებულ შემთხვევებში – 30 კმ. სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან);
- დ) საერთაშორისო აეროპორტებში და საქართველოს საფრენ აპარატებზე;
- ე) საქართველოს საზღვაო სივრცეში და ღია ზღვაში;
- ვ) საქართველოს პორტებში და პორტუნქტებში;
- ზ) სასაზღვრო სარკინიგზო სადგურებში;
- თ) კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

მუხლი 3 ტერმინთა განმარტებები

1. სახელმწიფო საზღვრის დაცვა – სამართლებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-ოპერატიული, ოპერატიულ-სამძებრო, საინჟინრო-ტექნიკური, სარეჟიმო, ორგანიზაციული, ეკოლოგიური, სანიტარული და სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობას, სასაზღვრო ზონაში, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო გამტარ პუნქტებში დადგენილი წესების შესრულებასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას;

2. სასაზღვრო-პოლიციური კონტროლი – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით პირის, ტრანსპორტის, ცხოველისა და სხვა ქონების გატარების კანონიერების შემოწმება;

3. საფრთხე – გარემოება, რომელიც ემუქრება ადამიანის უფლებებს, საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესებსა და უსაფრთხოებას;

4. სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიება - სამსახურეობრივ-საორგანიზაციო, საპროცესო, საგამოძიებო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ოპერატიულ-სამძებრო, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო, სარეჟიმო, ტექნიკური და სამხედრო-ტაქტიკური ღონისძიებების ერთობლიობა, რომელსაც სასაზღვრო პოლიცია ახორციელებს მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

5. განსაკუთრებული ამოცანები – სასაზღვრო პოლიციის მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში (სტიქიური უბედურებები, კატასტროფები და ა.შ) გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასაზღვრო პოლიციის პირდაპირ მოვალეობასთან;

6. სასაზღვრო ინციდენტი - საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს სასაზღვრო ფორმირებებს შორის ან საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა და მოსაზღვრე სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის კონფლიქტი, რომელიც შეიძლება შეიარაღებული ხასიათის იყოს;

7. სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიების ობიექტი - პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიება;

8. მესამე პირი – ნებისმიერი პირი, რომელიც პირდაპირ კავშირში არ არის სასაზღვრო პოლიციურ ღონისძიებასთან;

9. პირთან დაკავშირებული ინფორმაცია – გარკვეული მონაცემები პირის შესახებ.

10. საქართველოს საზღვაო სივრცე - საქართველოს შიდა საზღვაო წყლები, ტერიტორიულ ზღვა, მიმდებარე ზონა, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონა და კონტინენტურ შელფი.

11. საზღვაო მოღვაწეობის სუბიექტები – საზღვაო საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფო და ადგილობრივი მართველობის ორგანოები, ფიზიკური და იურდიული პირები.

მუხლი 4 სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილებანი

1. სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, საქართველოს კანონი "სახელმწიფო საზღვრის შესახებ", საქართველოს კანონი "საზღვაო სივრცის შესახებ", საქართველოს კანონი "პოლიციის შესახებ", საქართველოს კანონი "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ", საქართველოს სხვა შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. სასაზღვრო პოლიციას მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პოლიციის სპეციალური, განსაკუთრებული უფლებები და ოპერატიულ – სამძებრო, სადაზვერვო (კონტრსადაზვერვო) საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებანი. აქვს ძალის გამოყენების უფლება, აგრეთვე უფლებამოსილება დაიცვას საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმი, განახორციელოს ყველა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს საუწყებო შემოწმების ჩატარება, სამართალდარღვევებზე განახორციელოს ადმინისტრაციული საქმისწარმოება. სასაზღვრო პოლიციას აქვს ინფორმაციის ანალიზის, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით სახელმწიფო ორგანოებისაგან ინფორმაციის მიღების, სტრატეგიული დაგეგმვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის, გაჩერების, დაკავების, ჩხრეკის, ამოღების, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთის, ქონების, ადამიანის ან სათავსოს შემოწმების უფლება.

მუხლი 5 სასაზღვრო პოლიციის დაფინანსება

სასაზღვრო პოლიციის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 6 სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი და თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები

1. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვა და მატერიალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია საქართველოს **პრეზიდენტის ბრძანებულებით "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ"** და საქართველოს სხვა კანონმდებლობით.

2. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესი განსაზღვრულია საქართველოს **პრეზიდენტის ბრძანებულებით "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო**

მუხლი 7 სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სასაზღვრო პოლიციის საქმიანობა ეფუძნება კანონიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის, მართლზომიერების, საჯაროობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობასთან თანამშრომლობის პრინციპებს.

მუხლი 8 საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა

1. სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა ეფუძნება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, საქართველოს, სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო ინტერესებს, რომელიც მოიცავს სასაზღვრო სფეროში საქმიანობის კოორდინაციასა და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობას სასაზღვრო საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

2. სასაზღვრო პოლიცია თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სასაზღვრო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით **ხელს აწერს** უწყებათშორის საერთაშორისო ხელშეკრულებებს სასაზღვრო სფეროში.

მუხლი 9 თანამშრომლობა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან

1. დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით, სასაზღვრო პოლიცია თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით ჩაერთონ სახელმწიფო საზღვრის დაცვის საქმეში და დახმარება გაუწიონ სასაზღვრო პოლიციას დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაში საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე და საზღვაო სივრცეში. სასაზღვრო პოლიცია თავის მხრივ უფლებამოსილია, შესაბამისად წაახალისოს ეს პირები.

მუხლი 10 საპროკურორო ზედამხედველობა სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო საქმიანობაზე

საქართველოს გენერალური პროკურატურა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო საქმიანობაზე ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობას.

თავი II სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

მუხლი 11 სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურა

1. სასაზღვრო პოლიცია – სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის, ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების, საზღვრო პოლიციის სამმართველოებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ქვედანაყოფების, სანაპირო დაცვის, სასაზღვრო ავიაციის, სწრაფი რეაგირების დანაყოფების, სასწავლო, სხვა დაწესებულებებისა და უწყებების ერთიანი სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს სასაზღვრო სამსახურის საქმიანობას.

2. სასაზღვრო პოლიციის მმართველობასა და სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 12 სასაზღვრო პოლიციის უფროსი

1. სასაზღვრო პოლიციის მართვას, კოორდინაციასა და საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, რომელიც ამავედროულად არის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით, მას თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით ან პრემიერ-მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით.

2. სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელს უფლება აქვს განახორციელოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებათა დედეგირება მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების უფროსების მიმართ საკადრო, საფინანსო და საზღვრის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს სამართლებრივი ხასიათის ნორმატიული აქტები, ბრძანებები, დირექტივები, დებულებები, ინსტრუქციები და წესები, რომლებიც აუცილებელია სასაზღვრო პოლიციისათვის კანონით დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად დამოუკიდებლად ან/და საზღვრის დაცვის სუბიექტებთან ერთად.

თავი III სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 13 სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები

1. “საქართველოს თავდაცვის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა;

2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან შესაბამის უწყებებთან კოორდინირებულად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

3. სასაზღვრო ინციდენტებისა და სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება.

4. **უცხოელთა ინსპექტირება**, მიგრაციისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;

5. ძებნა-გადარჩენის ოპერაციების განხორციელება და კოორდინაცია ზღვაზე, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში – ადამიანთაის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით კი – საქართველოს მთელს ტერიტორიაზე;

6. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტების საქმიანობის კოორდინირება, საბაჟო სამსახურთან შეთანხმებით, სასაზღვრო-სამიგრაციო, საბაჟო და სხვა სახის კონტროლის ადგილის, დროისა და თანამიმდევრობის განსაზღვრა;

7. კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლი საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარზე, საზღვაო სივრცეში, პორტებსა და გემებზე, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.

8. ზღვაოსნობის, ნაოსნობის, პორტებისა და გემების შესახებ საერთაშორისო საზღვაო კონვენციებითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულება, გემის ანგარიშზე და შეტყობინებებზე პასუხის გაცემა, საზღვაო შემთხვევათა გამოძიება (გამოკვლევა);

9. ზღვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, შენარჩუნება, დაბინძურებაზე რეაგირება;

10. საქართველოს საზღვაო სივრცეში ბიორესურსების მოპოვებაზე და სამეცნიერო კვლევების ჩატარებაზე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმებით დადგენილი წესების დაცვის კონტროლი;

11. ნავსადგურების დაცვა და უსაფრთხოება საერთაშორისო საზღვაო კონვენციების მოთხოვნათა შესაბამისად;

12. საქართველოს საზღვაო სივრცეში სახელმწიფოს სუვერენული უფლებების, ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა, ზღვაოსნობის და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვისა და ჰიდროგრაფიული საქმიანობის კონტროლი;

13. ზღვაზე უწყებათშორისო ერთიანი ინფორმაციული სივრცის შექმნის ხელშეწყობა, **საქართველოს საზღვაო მოღვაწეობის სუბიექტებთან** ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის მექანიზმების შექმნა;

14. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საქართველოს საზღვაო სივრცეში ტრეფიკინგის, ნებისმიერი კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების, - პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა,

15. კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულება.

16. სასაზღვრო პოლიცია ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დაკისრებულ ამოცანებს განახორციელებს დამოუკიდებლად ან სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებთან ერთობლივად.

მუხლი 14

უსაფრთხოების უზრუნველყოფა საერთაშორისო აეროპორტებსა და საფრენ საშუალებებზე

1. საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების ტერიტორიაზე საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს განახორციელოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფ ღონისძიებათა კონტროლი და კოორდინაცია.

2. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს საერთაშორისო რეისების შესრულებისას **საქართველოს ავიაკომპანიების საფრენ საშუალებებში გაატაროს უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებები ავიაკომპანიებთან დადებული შეთანხმებების საფუძველზე**. ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საფრენი საშუალების ეკიპაჟის მეთაურთან შეთანხმებით მგზავრთა და საფრენი საშუალების უსაფრთხოების წესების დაცვით.

3. საქართველოს ავიაკომპანიების საფრენ საშუალებებზე უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული დებულებები, რომლებიც არეგულირებენ საფრენი საშუალების ეკიპაჟის მეთაურის უფლებამოსილებას და საქმიანობის სფეროს.

მუხლი 15

უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს საზღვაო პორტებში, პორტპუნქტებში და გემებზე

1. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს განახორციელოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კონტროლი და კოორდინაცია საზღვაო პორტებში, პორტპუნქტებში, ნაოსნობის გზებზე, სანაპირო ობიექტებსა და გემებზე, მათი უსაფრთხოების ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით.

2. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს განახორციელოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებული გემებზე გამოიძიოს მის საგამოძიებო ქვემდებარეობას განკუთვნილი დანაშაული.

3. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და ორგანოებთან ერთობლივად დააწესოს საღუბე სადგომები, ნაოსნობის წესები. ეს წესები ქვეყნდება "ზღვაოსანთა უწყებებში" (ბიულეტენში).

მუხლი 16

თანამდებობის პირთა და ობიექტების დაცვა

1. სასაზღვრო პოლიცია კომპეტენციის ფარგლებში, სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, მონაწილეობს მაღალი რანგის თანამდებობის პირთა დაცვაში.

2. სასაზღვრო პოლიცია იცავს მისდამი დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობებს, სასაზღვრო ნიშნებს, სანაოსნო ნიშნების სისტემას, გემებსა და სხვა ქონებას.

მუხლი 17

განსაკუთრებული ამოცანების შესრულება

1. სასაზღვრო პოლიციის განსაკუთრებული ამოცანებია:

ა) დაეხმაროს სხვა უწყებებს სტიქიური უბედურებების, კატასტროფებისა ან საზოგადოებისათვის შექმნილი განსაკუთრებული საფრთხის დროს;

ბ) დაეხმაროს შესაბამის უწყებებს კარანტინის გამოცხადებისას და საშიში ინფექციური დაავადებების გაერცხვების თავიდან აცილებაში;

გ) საომარი მდგომარეობის ან სხვა განსაკუთრებული სიტუაციების დროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გატარება;

დ) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანები.

2. საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია გადადის საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში.

3. სასაზღვრო პოლიცია უზრუნველყოფს პირადი შემადგენლობის, შეიარაღებისა და ტექნიკის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას.

მუხლი 18

საფრთხის თავიდან აცილება და აღკვეთა

სასაზღვრო პოლიცია საფრთხის წარმოშობისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს, კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით კი დებულებებს შესაბამის ზომებს.

მუხლი 19 სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები და საგამოძიებო ქვემდებარეობა

1. სასაზღვრო პოლიცია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ:

ა) ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული ან დანაშაულის მცდელობა, რომელიც მიმართულია საზღვრის უსაფრთხოების ან ამ კანონით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების წინააღმდეგ;

ბ) ჩადენილია შესაბამისი კანონით დარეგულირებული საზღვრის გადაკვეთის წესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;

გ) საზღვრის გადაკვეთა მოხდა მოტყუების, მუქარის, ძალადობის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებით;

დ) აეროპორტებში და საქართველოს ავიაკომპანიების საფრენ საშუალებებზე ჩადენილია საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;

ე) დანაშაული, რომელიც ჩადენილია საქართველოს საზღვაო სივრცეში ან იმ გემსა ან საფრენ აპარატზე, რომელიც ექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას, აგრეთვე საქართველოში რეგისტრირებულ გემებსა და საფრენ საშუალებებზე;

2. სისხლის სამართლის დანაშაულის იმგვარ შემთხვევებში, რომლებიც არ არის მითითებული ამ მუხლის 1-ელ პუნქტში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

3. ამ მუხლის 2-ე პუნქტი ვრცელდება აგრეთვე იმ დანაშაულებზე რომლებიც ექვემდებარეობს მიხედვით სასაზღვრო პოლიციის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება და ჩადენილია იმ დანაშაულთა პარალელურად რომლებიც განსაზღვრულია ამ მუხლის 1-ლ პუნქტში;

4. სასაზღვრო პოლიცია ვალდებულია აუცილებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებით საბაჟო, თევზჭერისა და გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევების აღმოჩენისას, აღკვეთოს კვალის დაფარვის მცდელობა და ჩაატაროს საპროცესო მოქმედებები.

მუხლი 20 ადმინისტრაციული სამართალწარმოება

1. სასაზღვრო პოლიცია ამ კანონით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად აღკვეთს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ახორციელებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით.

2. ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გამოიყენოს ადმინისტრაციული სახდელის ფორმა - ჯარიმა.

3. სასაზღვრო პოლიცია, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისას აღმოჩენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევა არ არის სასაზღვრო პოლიციის ექვემდებარე და შედის პოლიციის, საბაჟო სამსახურის ან სხვა ორგანოს კომპეტენციაში, ვალდებულია შემდგომი რეაგირებისათვის საქმე გადასცეს კომპეტენტურ სამსახურს.

თავი IV ოპერატიულ-სამძებრო და სადაზვერვო საქმიანობა

მუხლი 21 მიზანშეწონილობის პრინციპი

1. სასაზღვრო პოლიციის მიერ განსახორციელებელი რამდენიმე სავარაუდო ღონისძიებიდან უნდა ამოირჩეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად საზიანოა კონკრეტულ პირისა და საზოგადოებისთვის;
2. ღონისძიება უნდა იყოს მიზანზე ორიენტირებული;
3. სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებები გრძელდება საფრთხის თავიდან აცილებამდე/აღკვეთამდე ან იმის გარკვევამდე, რომ ეს ღონისძიება შედეგს არ გამოიღებს.

მუხლი 22 სასაზღვრო-პოლიციურ ღონისძიებათა ობიექტები

1. სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებები მიმართულია იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საფრთხის წარმოქმნაზე.
2. როდესაც საფრთხის მიზეზია რაიმე ცხოველი ან ნივთი, სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებები ტარდება მათი ფაქტობრივიმფლობელის მიმართ.
3. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებული პირების გარდა, სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიება სხვა პირების მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) მომეტებული საფრთხის თავიდან აცილებისას;
 - ბ) როდესაც ღონისძიება ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში ჩამოთვლილი პირების წინააღმდეგ სავარაუდოდ წარუმატებელი იქნება;
 - გ) როდესაც ჩასატარებელი ღონისძიება სასაზღვრო პოლიციის ან სასაზღვრო პოლიციის მიერ უფლებამოსილი პირის შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება;
 - დ) სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიება შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი პირის მიმართ იმის გათვალისწინებით, რომ მათ ჯანმრთელობასა და კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას საფრთხე არ ემუქრება.
4. სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებები ტარდება მანამ, სანამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა საშუალება არ გამოინახება. ამ მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს ზარალი უნაზღაურდებათ ამ კანონის სათანადო მუხლების შესაბამისად.

მუხლი 23 პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება

1. სასაზღვრო პოლიციას, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით, შეუძლია მოიპოვოს პირთან დაკავშირებული ინფორმაცია.
2. პირთან დაკავშირებული ინფორმაცია სასურველია მოპოვებულ იქნეს ღიად და უშუალოდ ამ პირისაგან.
3. საჭიროების შემთხვევაში პირს უნდა განემარტოს ღონისძიების გატარების საფუძველი, თუ ეს მესაზღვრე პოლიციელს ხელს არ უშლის ამ კანონით დაკისრებული ამოცანის შესრულებაში.
4. ამ კანონის ან სხვა საკანონმდებლო აქტებით თუ პირს არ ევალება ინფორმაციის გაცემა, მას უნდა განემარტოს, რომ ინფორმაციის მოწოდება მისი ნებით ხდება.

მუხლი 24

ავტომატური ფოტო - და ვიდეოტექნიკის გამოყენება

1. სასაზღვრო პოლიციას შეუძლია დაამონტაჟოს ავტომატური ფოტო-ვიდეოტექნიკა:

ა) საზღვრის უკანონო გადაკვეთის აღმოჩენის, თავიდან აცილების, აღკვეთისა და საზღვარზე საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით;

ბ) კომპეტენციის არეალში მყოფ პირთა და საგანთათვის შექმნილი საფრთხის დროულად დაფიქსირების მიზნით.

შენიშვნა: "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამონტაჟებული აპარატურის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული თვალსაჩინო ადგილზე.

2. მოპოვებული ინფორმაცია, თუ იგი აღარ არის საჭირო კონკრეტული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დროულად უნდა იქნეს განადგურებული.

მუხლი 25

პირთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება თვალთვალის მეშვეობით

1. სასაზღვრო პოლიციას შეუძლია თვალთვალის მეშვეობით მოიპოვოს პირთან დაკავშირებული ინფორმაცია შემდეგ შემთხვევებში: როდესაც საფრთხე ემუქრება ქვეყნის უშიშროებას, ადამიანის თავისუფლებას, ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტებს, რომელთა შენარჩუნებაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია და საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელია ან სისხლის სამართლის დანაშაულის აცილება სხვა გზით მნიშვნელოვნად გართულებულია ან შეუძლებელია.

2. ბრძანებას თვალთვალის შესახებ გამოსცემს მოსამართლე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ღონისძიების დასრულების შემდეგ პირს, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული აღნიშნული ღონისძიება, უნდა ეცნობოს თვალთვალის შესახებ. თუ იგი ხელს არ შეუშლის ღონისძიების მიზანს ან საფრთხეს არ შეუქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. პირს არ ეცნობება მის მიმართ გატარებული ღონისძიების შესახებ, თუ მის წინააღმდეგ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან შეტყობინება საფრთხეს შეუქმნის ღონისძიების მიზანს. გადაწყვეტილებას ამის თაობაზე იღებს პროკურორი ან – გამომძიებელი პროკურორის თანხმობით.

მუხლი 26

პირთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება ტექნიკური საშუალებების ფარული გამოყენებით

(საუბრის მოსმენა-ჩაწერა, ფოტო - და ვიდეოგადაღება)

1. სასაზღვრო პოლიციას შეუძლია პირთან დაკავშირებული ინფორმაცია მოიპოვოს ბინის გარეთ ტექნიკური საშუალებების ფარული გამოყენებით (საუბრის მოსმენა-ჩაწერა, ფოტო - და ვიდეოგადაღება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საფრთხე ემუქრება ქვეყნის უშიშროებას, ადამიანის თავისუფლებას, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს, რომელთა შენარჩუნებაც საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა;

ბ) როდესაც საფრთხის ან სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელია ან მნიშვნელოვნად გართულებულია;

2. ღონისძიების ჩატარება დასაშვებია საცხოვრებელი ბინაში და მის გარეთ, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და თავისუფლებას;

3. ბრძანებას საუბრის მოსმენა-ჩაწერისა და ფოტო - და ვიდეოგადაღების შესახებ გამოსცემს მოსამართლე ერთი თვის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს მისივე ბრძანებით კვლავ ერთი თვით.

4. ადამიანის სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის დროს, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სასახლვრო უწყების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები ძალაშია საუბრის მოსმენა-ჩაწერისა და ფოტო - და ვიდეოგადაღების შემთხვევაშიც.

მუხლი 27

პირთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება საიდუმლო თანამშრომლის მეშვეობით

1. სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს, იმ შემთხვევაში, როცა ეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილებისთვისაა აუცილებელი, პირთან დაკავშირებული ინფორმაცია მოიპოვოს საიდუმლო თანამშრომლის მეშვეობით, რაც მესამე პირისათვის არ არის ცნობილი,

2. საიდუმლო თანამშრომლის მიერ პირთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სასახლვრო უწყების ტერიტორიული ორგანოს უფროსის ან მისი მოადგილის წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე სასახლვრო უწყების ხელმძღვანელთან ან მის მოადგილესთან შეთანხმებით;

3. 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები ძალაშია საიდუმლო თანამშრომლის მეშვეობით ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაშიც;

მუხლი 28

პირთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება გამოკითხვით

1. სასახლვრო პოლიციას შეუძლია პირის გამოკითხვა მაშინ, როდესაც დადასტურებულია, რომ ამ პირს საქმის თაობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია სასახლვრო პოლიციისათვის ქვემდებარე კონკრეტული ამოცანის განსახორციელებლად;

2. გამოკითხული პირი ვალდებულია დაასახელოს სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილი და მოქალაქეობა, თუ ეს სასახლვრო პოლიციის ქვემდებარე ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი.

3. ინფორმაციის მოპოვებისას სასახლვრო პოლიცია ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პირის გამოკითხვისას დაუშვებელია მის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება.

მუხლი 29

ინფორმაციის მოპოვება პირის ვინაობის დადგენის მიზნით

1. სასახლვრო პოლიციას მისდამი ქვემდებარე ამოცანების შესრულების მიზნით შეუძლია დაადგინოს პირის ვინაობა.

2. სასახლვრო პოლიციას ვინაობის დადგენის მიზნით შეუძლია გაატაროს საჭირო ღონისძიებები: შეაჩეროს პირი, გამოაკითხოს პირადი მონაცემები და შემოწმების მიზნით მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა. სასახლვრო კონტროლის დროს სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს პირს მოსთხოვოს სახლვრის გადაკვეთისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა.

3. თუ პირის ვინაობის დადგენა ან მის მიერ წარდგენილი სახლვრის გადაკვეთისათვის საჭირო დოკუმენტების კანონიერად ცნობა სხვაგვარად გართულებული ან შეუძლებელია, იგი შეიძლება შეჩერებულ და გადაყვანილ იქნეს სასახლვრო პოლიციის შესაბამის ქვედანაყოფში. მისი ვინაობის დადგენის მიზნით, შეიძლება განხორციელდეს პირისა და მისი პირადი ნივთების შემოწმება.

მუხლი 30

პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება

1. სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს მოახდინოს პირის იდენტიფიკაცია, თუკი:

ა) პირის ვინაობის დადგენა, 31-ე მუხლში ჩამოთვლილი ღონისძიებებით გართულებული ან შეუძლებელია;

ბ) პირის იდენტიფიკაცია სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთას ისახავს მიზნად და არსებობს ეჭვი იმისა, რომ ამ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, ამასთანავე დანაშაულის ან მისი ჩადენის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს დანაშაულის გამეორების საფრთხე.

2. პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ღონისძიებებია:

ა) თითისა და ხელის გულის ანაბეჭდების აღება;

ბ) სურათის გადაღება;

გ) ფიზიკური, დამახასიათებელი ნიშნების დაფიქსირება;

დ) სიმაღლის გაზომვა;

ე) ხმის ჩაწერა;

ვ) სხვა ბიომეტრიული ნიშნების დაფიქსირება.

მუხლი 31

პირთა მოწვევა

1. სასახლვრო პოლიციას შეუძლია წერილობით ან ზეპირი შეტყობინებით მოიწვიოს პირი, თუ:

ა) კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, პირი სავარაუდოდ ფლობს საჭირო ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება სასახლვრო პოლიციას დაკისრებული ამოცანების შესრულებაში;

ბ) ეს აუცილებელია პირის ვინაობის დასადგენი ღონისძიებების გასატარებლად.

2. პირს უნდა განემარტოს მოწვევის საფუძველი.

3. პირის არასაკმაყოფილო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებები შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პირისაგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება დაეხმაროს სასახლვრო პოლიციას ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისათვის შექმნილი საფრთხის თავიდან აცილებაში;

ბ) როდესაც პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება აუცილებელია.

4. გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოწვევის საფუძველზე გამოცხადდებიან მოწმის ან ექსპერტის სტატუსით, რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 32

პირთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლება, შენახვა და გამოყენება

1. სასახლვრო პოლიციას შეუძლია კანონიერი გზით მოპოვებული პირთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვა, განახლება და გამოყენება, თუკი ეს აუცილებელია მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. ინფორმაციის

შენახვა, განახლება და გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით არის დასაშვები, რა მიზნითაც იქნა იგი მოპოვებული.

2. სასაზღვრო პოლიცია ვალდებულია შეასწოროს პირთან დაკავშირებული არასწორი ინფორმაცია.

მუხლი 33

პირთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემისა და მიღების წესი

1. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს სხვა უწყებებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია კანონმდებლობით დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით, ასევე შეუძლია სხვა უწყებებს გადასცეს პირთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუკი ეს აუცილებელია პოლიციური ამოცანების შესასრულებლად.

2. სასაზღვრო პოლიციას შეუძლია პირთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს სხვა სახელმწიფო უწყებებს, თუკი ეს აუცილებელია:

ა) მისდამი დაქვემდებარებული რომელიმე ამოცანის შესასრულებლად;

ბ) საფრთხის ასაცილებლად;

გ) საზოგადოების უსაფრთხოების ან თითოეული ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად;

დ) სისხლის სამართლის დანაშაულის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად;

ე) სპეცსამსახურებისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

3. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს პირთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს სხვა ქვეყნების სახელმწიფო უწყებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, თუკი ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან საჭიროა:

ა) სასაზღვრო პოლიციისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

ბ) საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან დანაშაულის აღსაკვეთად.

4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასაზღვრო პოლიციის უფროსი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს ინფორმაციის გადაცემას უცხო ქვეყნის პოლიციური და სასაზღვრო უწყებებისათვის, თუკი არსებობს ამის საჭიროება და უცხო ქვეყნის პოლიციური უწყება გაითვალისწინებს ამ კანონით დადგენილ წესებს პირთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის, გამოყენების, გადაცემისა და განადგურების შესახებ;

5. სასაზღვრო პოლიცია პირთან დაკავშირებულ ინფორმაციას გადასცემს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თუკი ეს აუცილებელია:

ა) დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

ბ) საზოგადოებრივი კეთილდღეობისა ან ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

6. ამ კანონით გათვალისწინებული პირთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის წესი არ ვრცელდება უწყების შიგნით;

7. პასუხისმგებლობა პირთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემაზე ეკისრება სასაზღვრო პოლიციას. სასაზღვრო პოლიცია ამოწმებს მოთხოვნილი ინფორმაციის შესაბამისობას მიმღები მხარის კომპეტენციასთან. სხვა სახელმწიფო უწყების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე გადაცემული ინფორმაციის დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ინფორმაციის მიმღებ მხარეს, რის შესახებაც სასაზღვრო პოლიციამ უნდა აცნობოს მიმღებ მხარეს ინფორმაციის გადაცემის დროს.

8. პირთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გაიცემა, თუკი პირის ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებზე უფრო მაღლა დგას, დაირღვევა კონფიდენციალურობა ან ხელი შეეშლება გამომძიებას.

მუხლი 34

პირთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურება

1. სასაზღვრო პოლიცია ვალდებულია მონაცემთა ბაზაში პირთან დაკავშირებული ინფორმაცია განადგუროს დაუყოვნებლივ, თუკი:

ა) პირთან დაკავშირებული ინფორმაცია არაკანონიერია;

ბ) განსაზღვრული ვადის შემდეგ ჩატარებული შემოწმების ან კონკრეტული საქმის დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ინფორმაციის შენახვა სასაზღვრო პოლიციისათვის დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად აღარ არის საჭირო;

გ) მის განადგურებას ან წაშლას ითვალისწინებს კანონი.

2. მონაცემთა ბაზაში პირთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმების ვადები განისაზღვრება მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ **ბრძანებით**, რომელიც რეგულირდება ამ კანონის 36-ე მუხლით.

მუხლი 35 მონაცემთა ბაზა

1. სასაზღვრო პოლიციის **უფროსის** სპეციალური ბრძანება მონაცემთა ავტომატიზებული ბაზის შესახებ მოიცავს:
- ა) ინფორმაციის შინაარსს;
 - ბ) მონაცემთა ბაზის სამართლებრივ საფუძვლებსა და მიზანს;
 - გ) მონაცემთა ბაზის მომხმარებელ პირთა წრეს;
 - დ) პირთან დაკავშირებული ინფორმაციის სახეობას;
 - ე) ინფორმაციის მიწოდებისა და შენახვის პირობებს;
 - ზ) იმ პირობებს, რომელთა გათვალისწინებით პირთან დაკავშირებული შენახული ინფორმაცია კონკრეტულ ადრესატს განსაზღვრული წესით გადაეცემა;
 - თ) ინფორმაციის შემოწმებისა და შენახვის ვადებს;
 - ი) მონაცემთა ბაზის გამოყენების ოქმით გაფორმებულ პირობებს.
2. სასაზღვრო პოლიცია განკარგულებას მონაცემთა ბაზის შესახებ ათანხმებს სასაზღვრო პოლიციის სამსახურში მყოფ იმ პირებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პირთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე.
3. ინფორმაციის ანალიზი და შემდგომი დამუშავება ხორციელდება პერიოდულად.

მუხლი 36 ინფორმაციის გაცემისა და გაცნობის უფლება

1. სასაზღვრო პოლიცია ვალდებულია მოთხოვნის საფუძველზე უსასყიდლოდ გასცეს ინფორმაცია:
- ა) მონაცემთა ბაზაში დაინტერესებულ პირზე არსებული მონაცემების შესახებ;
 - ბ) მონაცემთა შენახვის მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ;
 - გ) პირთან დაკავშირებულ მონაცემთა წყაროსა და მისი მიმღების შესახებ.
2. ინფორმაცია არ გაიცემა:
- ა) თუ ადრე გაცემულ ინფორმაცია არ შეცვლილა;
 - ბ) ეს ინფორმაცია საგარაუდოდ არამიზნობრივად იქნება გამოყენებული;
 - გ) თუ ეს აუცილებელია სასაზღვრო პოლიციისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;
 - დ) ეს ინფორმაცია და მისი შენახვის ფაქტი საჭიროა დარჩეს საიდუმლოდ;
 - ე) თუ დაირღვევა კონფიდენციალურობა ან ხელი შეეშლება გამოძიებას.

მუხლი 37 პირთა ჩხრეკა

1. სასაზღვრო პოლიციას შეუძლია გაჩხრიკოს პირი შემდეგ შემთხვევებში:
- ა) ამ კანონის ან სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე პირის დაკავებისას;
 - ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირს თან აქვს საგნები, რომლებიც ამოღებულ უნდა იქნეს ამ კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე;
 - გ) პირის უმწეო მდგომარეობაში ყოფნისას მისი იდენტიფიკაციის მიზნით;
 - დ) სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ეჭვისას სასაზღვრო პოლიციის მიერ დაცული ობიექტების სიახლოვეს;
 - ე) როდესაც პირი თანხმობას აძლევს გაჩხრეკაზე.
2. ჩხრეკას ატარებს შესაბამისი სქესის პირი ან ექიმი. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩხრეკა შეიძლება ჩაატაროს სასაზღვრო პოლიციის ნებისმიერმა თანამშრომელმა.

3. თუ აღვიღებ ჩხრეკა შეუძლებელი ან გართულებულია, პირი შეიძლება გადაყვანილ იქნეს სასახლვრო პოლიციის ქვედანაყოფში.

4. პირის შემოწმება სამედიცინო პროცედურების გამოყენებით შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სასახლვრო პოლიციის თანამშრომელმა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოსამართლეს. გამოკვლევის ჩატარება დაუშვებელია სამედიცინო პერსონალის უშუალო მონაწილეობისა და ზედამხედველობის გარეშე.

მუხლი 38

ნივთების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ცხოველების ჩხრეკა და შემოწმება

1. სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს გაჩხრიკოს და შეამოწმოს ნივთები, სატრანსპორტო საშუალებები და ცხოველები, თუ:

ა) ეს ნივთი, სატრანსპორტო საშუალება ან ცხოველი იმ პირის მფლობელობაშია, ვისი ჩხრეკაც ამ კანონის 39-ე მუხლითაა გათვალისწინებული;

ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ სატრანსპორტო საშუალებაში იმყოფება პირი, რომელიც:

– სავარაუდოდ სამართალდამღვევია;

– აყვანილია მძევლად;

– იმყოფება უმწეო მდგომარეობაში.

გ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ სატრანსპორტო საშუალებაში არის საგანი, რომელიც ამოღებულ უნდა იქნეს;

დ) ნივთი ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება სასახლვრო პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებში ან მათ სიახლოვეს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იქ შესაძლოა ჩადენილ იქნეს სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის აცილების მიზნით აუცილებელია ჩხრეკის ჩატარება.

2. ნივთების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ცხოველების გაჩხრეკის დროს ფაქტობრივ მფლობელს უფლება აქვს დაესწროს ჩხრეკას. მფლობელის არყოფნის შემთხვევაში ჩხრეკას შეიძლება დაესწროს მისი წარმომადგენელი ან სხვა მოწმე. საგნის ან სატრანსპორტო საშუალების მფლობელს უფლება აქვს მიიღოს განმარტება ჩხრეკის ჩატარების კანონიერების თაობაზე.

მუხლი 39

გემების შემოწმება, დათვალიერება, ჩხრეკა და ინსპექტირება

1. სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს **საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად** საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე ჩაატაროს ჩხრეკა, შემოწმება, დათვალიერება და ინსპექტირება შემდეგი მიზნებით:

ა) დროშის სახელმწიფოს დასადგენად;

ბ) გემის ეკიპაჟის და მგზავრების მოქალაქეობის დასადგენად;

გ) დაადგინოს, შეესაბამება თუ არა გემი უსაფრთხოების, გარემოსდაცვით და საყოფაცხოვრებო პირობების საერთაშორისო სტანდარტებს.

2. სასახლვრო პოლიცია, **კომპეტენციის ფარგლებში**, მიიღებს შესაბამის ზომებს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენს სამართალდარღვევებს და ზემოაღნიშნულ სტანდარტებთან შეუსაბამობას.

მუხლი 40

ბინის ჩხრეკა

სასახლვრო პოლიციას უფლება აქვს მეპატრონის თანხმობის გარეშე საცხოვრებელი ბინა გაჩხრიკოს, თუ:

1. დადასტურებულია, რომ ბინაში იმყოფება პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე უნდა იქნეს დაკავებული;

2. დადასტურებულია, რომ ბინაში არის ნივთი, რომელიც ამოღებულ უნდა იქნეს კანონმდებლობის საფუძველზე;

3. აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის, თავისუფლებისა ან მნიშვნელოვანი საგნისათვის კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილება.

მუხლი 41 ამოღება

1. სასაზღვრო პოლიციამ რაიმე ნივთი ან სატრანსპორტო საშუალება უნდა ამოიღოს:

- ა) კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით;
- ბ) ნივთის დაზიანებისა და დაკარგვისგან დასაცავად;
- გ) იმ პირის მფლობელობაში მყოფი ნივთი, სატრანსპორტო ან მცურავი საშუალება, რომელიც ამ კანონის ან სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე დაკავებული უნდა იქნეს;

2. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს ამოიღოს ნივთი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- ა) თავის დასაზიანებლად;
- ბ) სხვა ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფისათვის;
- გ) სხვისი კუთვნილი ნივთების დასაზიანებლად;
- დ) გაქცევისათვის ან სხვისი გაქცევის ხელშეწყობისათვის.

3. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს ამოიღოს ნივთი ან სატრანსპორტო საშუალება, რომელიც წარმოადგენს კონტრაბანდას და/ან ეს უკანასკნელი გამოიყენება კონტრაბანდული საქონლის გადასატანად;

მუხლი 42 ადგილის დატოვების მოთხოვნა

საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს პირს მოსთხოვოს განსაზღვრული დროით გარკვეული ადგილის დატოვება ან აუკრძალოს კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა.

მუხლი 43 პირის თავისუფლების დროებითი შეზღუდვა

1. სასაზღვრო პოლიცია მოქმედი **კანონმდებლობის შესაბამისად** პირის თავისუფლებას დროებით ზღუდავს:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ პირი თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;
- ბ) 44-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის;
- გ) სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ან მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით;
- დ) არასრულწლოვანის, მშობლის ან მეურვისათვის გადაცემის მიზნით;

2. პირის თავისუფლების დროებითი შეზღუდვა დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას, თუკი აღარ არსებობს სასაზღვრო პოლიციური ღონისძიებების საფუძველი.

თავი V იძულების ღონისძიებები

მუხლი 44 **იძულების ღონისძიებების დასაშვებობა**

ვალდებულება/ქმედება, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს და მიმართულია მოქმედების ან მოქმედებისაგან თავის შეკავებისკენ, შეიძლება განხორციელდეს იძულების ღონისძიებით.

მუხლი 45 **იძულების ღონისძიებები**

1. იძულების ღონისძიებებია:
 - ა) შემცველი ქმედება;
 - ბ) ფულადი ჯარიმა;
 - გ) უშუალო იძულება.
2. იძულების ღონისძიებების გამოყენება შეიძლება სასჯელის ან ფულადი ჯარიმის პარალელურად და მისი სახეობა შეიძლება განმეორდეს ან შეიცვალოს, ვიდრე არ მოხდება ადმინისტრაციული აქტის განხორციელება ან სხვაგვარად მისი შესრულება.

მუხლი 46 **შემცველი ქმედება**

1. სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიების ობიექტის მიერ სასაზღვრო პოლიციის მოთხოვნის არ შესრულების შემთხვევაში, სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს შეასრულოს ან მესამე მხარეს სთხოვოს ამ ვალდებულების შესრულება. გაწეული ხარჯები უნდა აანაზღაუროს პოლიციური ღონისძიების ობიექტმა.
2. სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს პოლიციური ღონისძიებების ობიექტისაგან მოითხოვოს სავარაუდო ხარჯების წინასწარი ანაზღაურება.

მუხლი 47 **ფულადი ჯარიმა**

1. თუ პოლიციური ღონისძიების ობიექტის თანხმობის გარეშე დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ შეუძლია სხვა პირს ან მესამე მხარის ჩართვა სასაზღვრო-პოლიციური ამოცანის შესასრულებლად უშედეგოა, სასაზღვრო პოლიციას შეუძლია პოლიციური ღონისძიების ობიექტი გააფრთხილოს ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციური ღონისძიების ობიექტს არ შეუძლია 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის გაწევა.
2. ფულადი ჯარიმის დაკისრება დასაშვებია მაშინაც, როდესაც სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიების ობიექტი ეწინააღმდეგება მასზე დაკისრებული ვალდებულების/ქმედების შესრულებას.
3. ფულადი ჯარიმის ოდენობა და მისი გადახდის ვადები განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით და ფორმდება წერილობით.

მუხლი 48 **უშუალო იძულება**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასაზღვრო პოლიციას უფლება აქვს გამოიყენოს უშუალო იძულება თუ სხვა იძულების ღონისძიების გამოყენება წარუმატებელი ან უშედეგო იქნება.

მუხლი 49 **გაფრთხილება იძულების ღონისძიებების გამოყენების შესახებ**

1. იძულების ღონისძიებების გამოყენება უნდა მოხდეს წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე. ღონისძიების ობიექტს გაფრთხილებაში უნდა განესაზღვროს ვალდებულების/ქმედების შესასრულებლად გონივრული ვადა. ღონისძიება შეიძლება გატარებულ იქნეს წინასწარი გაფრთხილების გარეშეც თუ არსებობს იძულების ღონისძიების გამოყენების შესაბამისი გადაუდებელი გარემოებები, რათა საფრთხე იქნას თავიდან აცილებული.

2. გაფრთხილებაში მითითებული უნდა იყოს იძულებითი ღონისძიების სახე, ხოლო იძულების რამდენიმე ღონისძიების დაკისრების შემთხვევაში – მათი თანამიმდევრობა.

3. იმ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო-პოლიციური ამოცანის შესრულების მიზნით გამოყენებული იქნება მესამე მხარის ჩართვა, გაფრთხილებისას მითითებულ უნდა იქნეს სავარაუდო ხარჯების რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიების გატარებისას მოხდა გადახარჯვა, დამატებითი თანხის გადახდა ეკისრება სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიების ობიექტს.

მუხლი 50 **დასაშვები იარაღი**

1. უშუალო იძულება არის ადამიანსა ან საგანზე ზემოქმედება ფიზიკური ძალის, დამხმარე საშუალებების ან იარაღის გამოყენებით.

2. ფიზიკური ძალის გამოყენება გულისხმობს ადამიანსა ან საგანზე ფიზიკურ ზემოქმედებას.

3. დამხმარე საშუალებებია: ხელბორკილი, წყალსატყორცი, ტრანსპორტის იძულებით გაჩერების საშუალებები, სამსახურებრივი ცხოველები, სამსახურებრივი ავტოტრანსპორტი, ცრემლმდენი საშუალებები.

4. იარაღს მიეკუთვნება: ელექტროშოკური იარაღი, პისტოლეტი, რევოლვერი, ტყვიამფრქვევი და ავტომატური და ნახევრად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ქვემეხი, ასაფეთქებელი ნივთიერება.

მუხლი 51 **ბრძანების შესრულება**

1. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს პირდაპირი და უშუალო უფროსის ბრძანება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფროსის ბრძანება მიმართულია საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების წინააღმდეგ ან არასამსახურებრივი მიზნითაა გაცემული.

2. თუ პირდაპირი ან უშუალო უფროსის ბრძანების შესრულებას შედეგად მოჰყვება სისხლის სამართლის დანაშაული, დგება სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი დანაშაულის ჩადენის მომენტიდან მისთვის ნათელი უნდა ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის შესახებ.

3. თუ არსებობს ეჭვი პირდაპირი ან უშუალო უფროსის ბრძანების უსაფუძვლობის ან უკანონობისა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ამის შესახებ შეძლებისდაგვარად აცნობოს უშუალოდ ბრძანების გამცემ პირს.

4. პირდაპირი ან უშუალო უფროსის მიერ უსაფუძვლო და უკანონო ბრძანების განმეორების შემთხვევაში სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელს შეუძლია მიმართოს ზემდგომ თანამდებობის პირს.

მუხლი 52 **დაზარალებულ პირთათვის დახმარების გაწევა**

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია პირველი დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების დროს დაზარალებულ პირს.

მუხლი 53 **ხელბორკილის დადება**

1. ამ კანონის ან სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე დაკავებულ პირს შეიძლება დაედოს ხელბორკილი, თუკი ფაქტობრივად დადასტურებულია, რომ:

- ა) იგი თავს ესხმის სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელს ან უდანაშაულო პირს, წინააღმდეგობას უწევს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელს ამოცანის შესრულებისას ან მნიშვნელოვანი ობიექტის დაზიანება აქვს განზრახული;
- ბ) განზრახული აქვს გაქცევა ან ხელს უწყობს დაკავებულის განთავისუფლებას;
- გ) განზრახული აქვს საკუთარ თავს მიაყენოს ზიანი.

მუხლი 54
ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ზოგადი წესი

1. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა იძულებითი ღონისძიება უშედეგო ან აშკარად წარუმატებელია.
2. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სამართალდამრღვევის მიერ თავდასხმის ან გაქცევის თავიდან აცილების მიზნით გარდა 55-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთა გარეგნული ნიშნები ადასტურებენ მათ მცირეწლოვანებას ან ორსულობას, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანის სიცოცხლისა და ჯამრთელობისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელია.
4. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევისა, თუკი უდანაშაულო პირთა დაზიანების საფრთხე აშკარაა და ადამიანის სიცოცხლისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელია.

მუხლი 55
გაფრთხილება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ

1. ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება სიტყვიერი გაფრთხილებისა და ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ.
2. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება გაფრთხილების გარეშე დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის სიცოცხლესა და ჯამრთელობას ემუქრება საფრთხე.
3. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წინ ადამიანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის წინააღმდეგ, გაფრთხილება რამდენიმეჯერ უნდა განმეორდეს, რათა ადამიანებს მიეცეთ საშუალება, შეასრულონ სასაზღვრო პოლიციის მოთხოვნები.

მუხლი 56
ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება

1. ცეცხლსასროლი იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის წინააღმდეგ:
 - ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით;
 - ბ) ცეცხლსასროლი იარაღის ან ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებით სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის უშუალო საფრთხისას;
 - გ) როდესაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმიტანილს თან აქვს ცეცხლსასროლი იარაღი და ცდილობს გაქცევით დააღწიოს თავი სასაზღვრო-პოლიციურ ღონისძიებას – დაკავებას ან მისი იდენტიფიკაციისათვის საჭირო ღონისძიებას.
 - დ) დაპატიმრებულის გაქცევისას ან გაქცევის მცდელობისას სასაზღვრო პოლიციის ბადრაგისაგან პატიმრობიდან თავდასაღწევად ან ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებით დაკავებულის გათავისუფლების მიზნით.
2. სასაზღვრო პოლიციის მიერ იარაღის გამოყენება, რასაც სავარაუდოდ შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიკვდილი, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საფრთხე, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ ან გამოიწვევს ჯამრთელობის განსაკუთრებით მძიმე დაზიანებას.

სომალდების (კატარღების) მიერ იარაღის გამოყენების უფლება

1. სასახლვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდები (კატარღები) სამართალდამრღვევი მცურავი საშუალებების წინააღმდეგ იარაღს იყენებენ მათ მიერ ძალის გამოყენების საპასუხოდ, აგრეთვე სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში საერთაშორისო სამართლის შესაბამისად სამართალდამრღვევი გემების დევნისას, როდესაც სამართალდამრღვევის აღკვეთისა და დამრღვევი მცურავი საშუალების დაკავებისათვის ამოწურულია ყველა სხვა ზომა.

2. გადაწყვეტილებას გამაფრთხილებელი გასროლების შესახებ, დებულობს სანაპირო დაცვის ხომალდის (კატარღის) მეთაური;

3. გადაწყვეტილებას დამრღვევი მცურავი საშუალების დაზიანების მიზნით იარაღის გამოყენების შესახებ დებულობს ოპერაციის უფროსი. ?

4. იარაღის გამოყენება აკრძალულია:

ა) დამრღვევი მცურავი საშუალების მიმართ, თუ არახელსაყრელი პირობების გამო არ არის უზრუნველყოფილი მოცემულ რაიონში მყოფი სხვა გემებისა და საფრენი აპარატების დაზიანება;

ბ) იმ სამგზავრო დანიშნულების მცურავი საშუალების მიმართ, რომელსაც გადაჰყავს მგზავრები;

გ) თევზსაჭერი და სხვა სარეწი გემების მიმართ, რომლებიც აწარმოებენ რეწვას (ზღვაში ჩაშვებული აქვს თევზსაჭერი მოწყობილება) და საქართველოს სასახლვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდს (კატარღას) არ უწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას;

5. სასახლვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდების (კატარღების) მიერ შეიარაღების გამოყენების წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 58

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ადამიანთა ჯგუფში

დაუშვებელია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ადამიანთა ჯგუფში, თუკი ამან შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო პირების დაზიანება. ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა ადამიანის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 59

მოხსენება იარაღის გამოყენების შესახებ

სასახლვრო პოლიციელი ვალდებულია იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევის შესახებ აცნობოს უშუალო უფროსს.

მუხლი 60

ზიანის ანაზღაურება

1. სასახლვრო პოლიციის მიერ დაკისრებული ამოცანების შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს მისი ანაზღაურება;

2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება ხდება მაშინ, როდესაც იგი წარმოიშვა სასახლვრო პოლიციის მიერ გატარებული არამართლზომიერი ღონისძიების შედეგად;

3. ზიანის ანაზღაურება ხდება მაშინ, როდესაც სასახლვრო პოლიციის მოვალეობის შესრულებისას დაზარადა მესამე პირი;

4. მიყენებული ზიანი უნაზღაურდება მესამე პირს, რომელიც ნებაყოფლობით დაეხმარა სასახლვრო პოლიციას, რის შედეგადაც დაზიანდა მისი ქონება;

მუხლი 61

ზიანის ანაზღაურების სახეები

1. ეს კანონი ითვალისწინებს ძირითადად მატერიალური ქონების დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

2. შესაძლო მოგების შემცირებით ან რეგულარული შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ანაზღაურდება მხოლოდ მაშინ, თუ ამის მიზეზია სასაზღვრო პოლიციის არამართლზომიერი ქმედება.

3. სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიების შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

4. პირს, რომელსაც სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიების შედეგად დაუქვეითდა შრომის უნარი და ამის საფუძველზე დაკარგა შემოსავალი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნაზღაურდება ზიანი.

5. ზიანის ანაზღაურებისას უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი სასაზღვრო პოლიციისა და დაზარალებული პირის ქმედებებსა და დამდგარ შედეგს შორის.

მუხლი 62

ზიანის ანაზღაურება პირის გარდაცვალების შემთხვევაში

სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიების შედეგად პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯებს ფარავს ის მხარე, რომელსაც კანონმდებლობით ეკისრება ზიანის ანაზღაურება.

თავი VI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 63

ძირითადი უფლებების შეზღუდვა

განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში ამ კანონით იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის II თავით განსაზღვრული ადამიანის შემდეგი ძირითადი უფლებები და თავისუფლება: სიცოცხლის უფლება, ადამიანის თავისუფლება, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

მუხლი 64

გარდამავალი დებულებები

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ:

ა) მოამზადოს და გამოსცეს

- დებულება „სპეციალური საშუალებების, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის აღრიცხვის, შენახვისა და გაცემისა შესახებ“;

ბ) მოამზადოს შესაბამისი ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტები;

2. ამ კანონის ამოქმედებასთან ერთად პრეზიდენტმა გამოსცეს:

ა) ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის საკითხებში აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) ბრძანებულება "საერთაშორისო აეროპორტებსა და საფრენ საშუალებებზე უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

გ) ბრძანებულება "პორტებსა და გემებზე უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

დ) ბრძანებულება "თანამდებობის პირთა და ობიექტების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 65

კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი ————— 2006 წ.